ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3717912

ნომერი: AR1561829

თარიღი : 01.12.2017

გაცემის თარიღი : 05.12.2017

გაცნობის თარიღი : 11.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , შიდა კვარტალში , N101-ე სკოლის მოპირდაპირედ , (ნაკვეთი N21, N22, N20) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო გასიტაშვილი პ/ნ 01008019259
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძეს გამზირი, N 75, კორპუსი 7, ბინა 30

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1561829 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, გამზირი ალ. ყაზბეგი, N34, სიდა კვარტალში, N101-ე სკოლის მოპირდაპირედ, (ნაკვეთი N21, N22, N20)-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N01.14.03.042.126) საზღვრების კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი კონფიგურაციით მიწის ნაკვეთის კორექტირება არ ხდება ფაქტიური მდგომარეობის, მყარი ნაგებობის, ან მყარი ღობის გათვალისწინებით. მიწის ნაკვეთის ნაწილი გადადის სატრანსპორტო ზონა 1–ში (ტზ–1), სადაც ავტოსადგომის მშენებლობა დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, თავისუფალი მიწის ნაკვეთის ერთი მხრიდან ჩამოჭრა და აღნიშნული ფართობის მომატება მიმდებარედ არსებული თავისუფალი ტერიტორიის ხარჯზე სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია. შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.